# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 54

„5" დეკემბერი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის №44.17.867 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოში დაიწყოს რეორგანიზაცია და განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე